პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

28 იანვარი, 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 თებერვლის №355 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო
განყოფილების უფროსი

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 28 იანვრის
№ ..... განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის სამუშაო გ ე გ მ ა

№	განსახილველი საკითხები	საკითხის წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირი (ორგანო), საკრებულოს სხდომაზე საკითხის წარმომდგენი პირი	საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვის დრო
1	2	3	4
	I კვარტალი		
1.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი	იანვარი
2.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	იანვარი
3.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
4.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	თებერვალი
5.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი	მარტი
6.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	მარტი
	II კვარტალი		
7.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის აპრილამდე გაწეული საქმიანობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი	აპრილი

8.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	აპრილი
9.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი	მაისი
10.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	მაისი
11.	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისამდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისიის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი	ივნისი
12.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	ივნისი
	III კვარტალი		
13.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	ივლისი
14.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	ივლისი
15.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის აგვისტომდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე	აგვისტო
16.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	აგვისტო
17.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	სექტემბერი
18.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	სექტემბერი

19.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	სექტემბერი
	IV კვარტალი		
20.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი	ოქტომბერი
21.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ოქტომბერი
22.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	ოქტომბერი
23.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	ნოემბერი
24.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	ნოემბერი
25.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი	დეკემბერი
26.	მიმდინარე საკითხები	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო	დეკემბერი

საკრებულოს აპარატის უფროსი — გ.სვანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიღვარია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების მოთხოვნების შესრულება. განკარგულების პროექტით განსაზღვრულია საკრებულოსა და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაობის თაობაზე, აგრეთვე, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა აუცილებელი საკითხების განხილვა.

2. განკარგულების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წინამდებარე განკარგულების მიღება ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კონტროლის განხორციელების ფორმების დახვეწას.

3. განკარგულების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ საჭიროებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ჭიღვარია.

5. განკარგულების პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

6. განკარგულების პროექტის წარმომდგენი:

საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარმოადგენს საკრებულოს აპარატის უფროსი, გიორგი სვანიძე.

ც.პატარიძე

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო
განყოფილების უფროსი